ხელშეკრულება #135

(სახელმწიფო შესყიდვების შესახებ)

თბილისი "27" "ივნისი" 2021 წ.

ერთის მხრივ, სსიპ ლ. საყვარელიძის სახ. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი (შემდგომში "შემსყიდველი") გენერალური დირექტორის მოადგილე ალექსანდრე ტურძილაძე და მეორეს მხრივ ა(ა)იპ „დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ცენტრი" (შემდგომში "მიმწოდებელი") დირექტორი მარიეტა გონაშვილი ვაფორმებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საფუძველი

1.1 „საქართველოს 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონი.

1.2 "2021 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ" 2020 წლის 31 დეკემბრის საქართველოს მთავრობის #828 დადგენილება (შემდგომში „დადგენილება").

1.3 „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის "დ" ქვეპუნქტი.

1.4 „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანება.

1.5 „ეპიდზედამხედველობის" სახელმწიფო პროგრამა "რეგიონულ და მუნიციპალურ დონეზე არსებული სუდ ცენტრებისთვის ეპიდზედამხედველობის, იმუნიზაციისა და სამედიცინო სტატისტიკის ღონისძიებათა ფარგლებში მომსახურების დაფინანსებისთვის" კომპონენტი და „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სისტემის განმტკიცება, არსებულ საფრთხეებზე რეაგირებისა და მზადყოფნის გაძლიერება" ქვეკომპონენტი.

1.6 „აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებების მიერ ერთჯერადი გამოყენების, სწრაფცვეთადი საგნების, ფარმაცევტული და კვების პროდუქტების კერძო და საჯარო სამართლის იურიდიული პირებისათვის ან/და ადმინისტრაციული ორგანოებისათვის მოხმარების მიზნით გადაცემის შესახებ" 2011 წლის 20 ივლისის #285 საქართველოს მთავრობის დადგენილება.

1.7 "C ჰეპატიტის მართვის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 აპრილის №169 დადგენილება.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 "ეპიდზედამხედველობის" სახელმწიფო პროგრამის, "რეგიონულ და მუნიციპალურ დონეზე არსებული სუდ ცენტრებისთვის ეპიდზედამხედველობის, იმუნიზაციისა და სამედიცინო სტატისტიკის ღონისძიებათა ფარგლებში მომსახურების დაფინანსების" კომპონენტისა და „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სისტემის განმტკიცება, არსებულ საფრთხეებზე რეაგირებისა და მზადყოფნის გაძლიერება" ქვეკომპონენტის ფარგლებში გათვალისწინებული მომსახურების შესყიდვა, (CPV 85140000, SMP200005720).

3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

3.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულებაა 16 500 (თექვსმეტიათასი ხუთასი) ლარი, მ.შ. დეკემბრის თვის ღირებულება 1 375.00 (ერთიათას სამასსამოცდათხუთმეტი) ლარი.

3.1.1 "რეგიონულ და მუნიციპალურ დონეზე არსებული სუდ ცენტრებისთვის ეპიდზედამხედველობის, იმუნიზაციისა და სამედიცინო სტატისტიკის ღონისძიებათა ფარგლებში მომსახურების დაფინანსებისთვის" კომპონენტის ფარგლებში ღირებულება შეადგენს 8,700,00 (რვაათას შვიდასი) ლარი მ.შ. დეკემბრის თვის ღირებულება შეადგენს 725 (შვიდასოცდახუთი) ლარი და ერთი თვის ინტერნეტ სერვისის ღირებულება არაუმეტეს 30 (ოცდაათი) ლარს.

3.1.2 „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სისტემის განმტკიცება, არსებულ საფრთხეებზე რეაგირებისა და მზადყოფნის გაძლიერება" ქვეკომპონენტის ფარგლებში ღირებულება შეადგენს 7 800.00 (შვიდიათას რვაასი) ლარს, მ.შ. დეკემბრის თვის ღირებულება შეადგენს 650.00 (ექვსასორმოცდაათი) ლარს.

4. ხელშეკრულების ობიექტი

ხელშეკრულების ობიექტია:

4.1. ეპიდზედამხედველობის განხორციელება და სამედიცინო სტატისტიკური სისტემის მუშაობის უზრუნველყოფა რაც მოიცავს:

4.1.1 სამოქმედო ტერიტორიაზე ეპიდზედამხედველობის განხორციელება და სამედიცინო დაწესებულებების მონიტორინგი გადამდებ და არაგადამდებ დაავადებებზე მონაცემთა ხარისხის უზრუნველსაყოფად. აღნიშნული საქმიანობის განსახორციელებლად, „მიმწოდებელი" ვალდებულია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, მუნიციპალური სუდ ცენტრის (სამსახურის) და/ან ცენტრის უფლებამოსილ პირ(ებ)ს, მათი მოთხოვნის შესაბამისად, წარუდგინოს გადამდებ დაავადებებზე შესაძლო, სავარაუდო და დადასტურებული შემთხვევების შესახებ სამედიცინო დოკუმენტაცია;

4.1.2. სამოქმედო ტერიტორიაზე დამხმარე ზედამხედველობის (მონიტორინგის) წარმოებას, სამედიცინო სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვებას და წარდგენას სსიპ "ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის" შესაბამის რეგიონულ განყოფილებაში/სამმართველოში - კახეთის განყოფილება.

4.1.3 სამედიცინო სტატისტიკური ინფორმაციის (მ.შ. სიკვდილის არაიდენტიფიცირებულ მიზეზთა შემთხვევების კვლევა ვერბალური აუტოფსიის მეთოდით) შეგროვება და წარდგენას რეგიონული სტატუსის მქონე სამსახურებში (კახეთის განყოფილება) კანონმდებლობით დადგენილი წესით და პროცედურებით;

4.2. იმუნიზაციით მოცვის გაუმჯობესება საინფორმაციო სისტემისა და ლოჯისტიკის გამართული მუშაობის გზით;

4.2.1. სამოქმედო ტერიტორიაზე იმუნოპროფილაქტიკის დაგეგმვას, იმუნოპროფილაქტიკისათვის და მიმდინარე წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების განსახორციელებლად საჭირო მასალისა და აღჭურვილობის აუცილებელი მარაგის ლოჯისტიკის განხორციელებაზე ზედამხედველობას „ცივი ჯაჭვის" პრინციპების დაცვით, იმუნოპროფილაქტიკის (მ.შ. ცენტრის მიერ განხორციელებული ჯანმრთელობის დაცვის სხვა პროგრამების ფარგლებში ხარჯვის თაობაზე) ანგარიშგების წარმოებას და წარდგენას და სსიპ "ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის" შესაბამის რეგიონული სტატუსის მქონე სამსახურებში (კახეთის განყოფილება);

4.2.2. სამოქმედო ტერიტორიაზე ვაქცინების, შრატებისა და ასაცრელი მასალების გადაცემას ვაქცინებისა და შრატების მიმწოდებლად რეგისტრირებულ სამედიცინო დაწესებულებებზე, მას შემდეგ რაც განახორციელებენ აღნიშნული მიმწოდებლების მონიტორინგს "პროფილაქტიკური აცრების ეროვნული კალენდრის, იმ ინფექციური დაავადებების სიის, რომელთათვისაც სავალდებულოა პროფილაქტიკური აცრები და პროფილაქტიკური აცრების ჩატარების ასაკობრივი მაჩვენებლების, ვადებისა და იმუნიზაციის მართვის წესების დამტკიცების შესახებ" საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2019 წლის 16 სექტემბრის N01-60/ნ ბრძანებით განსაზღვრულ პირობებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით;

4.2.3 სამოქმედო ტერიტორიაზე „დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის" პროგრამის ანტენატალური მეთვალყურეობის კომპონენტის მიმწოდებელი სამედიცინო დაწესებულებებისათვის ცენტრიდან მიღებული ტესტებისა და სახარჯი მასალების გადაცემას, ასევე სკრინინგით საეჭვო დადებითი სისხლის შრატების მიდევნებას. ამასთან, მოთხოვნის შესაბამისად, „ბ" ჰეპატიტის იმუნოგლობულინის გადაცემას სტაციონარული სამედიცინო დაწესებულებებისათვის, რომლებიც ახორციელებენ სამეანო მომსახურეობას;

4.2.4 იმუნიზაციის პროგრამით გადაცემული ვაქცინებისა და ასაცრელი მასალების ხარჯვის თაობაზე სამედიცინო დაწესებულებებიდან მიღებული ინფორმაციის დადარებას და მონიტორინგს ჯანდაცვის ერთიანი ელექტრონული სისტემის იმუნიზაციის ელექტრონულ მოდულში ბენეფიციარებისათვის ჩატარებული გეგმური და არაგეგმური აცრების თაობაზე აღრიცხულ მონაცემებთან;

4.2.5 სამოქმედო ტერიტორიაზე სამსახურების მიერ იმუნიზაციის ლოგისტიკისა და ექსპედიციის განხორციელების მონიტორინგს (დამხმარე ზედამხედველობა);

4.2.6 სამოქმედო ტერიტორიაზე იმუნიზაციის მართვის ელექტრონული მოდულის გამართული მუშაობის კოორდინაციას;

4.2.7. სამოქმედო ტერიტორიაზე მცხოვრები 5-დან 10 წლამდე ასაკის ბავშვების ჰელმინთოზების პროფილაქტიკური/სამკურნალო მიზნით დკსჯე ცენტრიდან მიღებული პრეპარატების მიწოდებას სკოლებისა და ბაღებისათვის, აღნიშნულ დაწესებულებებში სამიზნე კონტიგენტის დეჰელმინთიზაციის უზრუნველსაყოფად (კონტინგენტის არანაკლებ 75 %-იანი მოცვის უზრუნველყოფა), ასევე, სამკურნალო პრეპარატებით უზრუნველყოფას (უპირატესად ფასციოლოზის სამკურნალოდ) სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობის (ფორმა №IV-100/ა) საფუძველზე მიუხედავად პაციენტის ასაკობრივი კატეგორიისა. ასევე, ჩატარებული სამუშაოების თაობაზე ანგარიშგებას;

4.3. რეგიონში შემავალ მუნიციპალიტეტებში მიმდინარე წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებებისთვის ეპიდზედამხედველობითი მხარდაჭერის უზრუნველყოფა, მ. შ.:

4.3.1. ცენტრის გენერალური დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებული წესის შესაბამისად, შემდგომ დიაგნოსტიკურ კვლევებში ჩართვის მიზნით, C ჰეპატიტზე სკრინინგული კვლევით გამოვლენილი დადებითი შედეგების მქონე იმ ბენეფიციართა, რომელთაც C ჰეპატიტზე სკრინინგით დადებითი სტატუსი განესაზღვრათ 6 ან/და მეტი თვის წინ, იდენტიფიცირებულნი არიან C ჰეპატიტის სკრინინგის ერთიანი ელექტრონული სისტემის მეშვეობით, მაგრამ არა აქვთ ჩატარებული შემდგომი დიაგნოსტიკური კვლევები, მიდევნებასა და ზედამხედველობას;

4.4. „ტუბერკულოზის მართვის" სახელმწიფო პროგრამის ეპიდზედამხედველობის კომპონენტის ფარგლებში:

4.4.1. ფილტვის ტუბერკულოზის ახლადგამოვლენილ შემთხვევათა კონტაქტების ეპიდკვლევას თ დაავადებულთა კონტაქტების კვლევა სსპეციალურად შემუშავებული კითხვარების მეშვეობით (კონტაქტირებულად ითვლება როგორც ოჯახური, ასევე სხვა ახლო კონტაქტში მყოფი პირები);

4.4.2., ფილტვგარეშე ტუბერკულოზის კონტაქტები კვლევას (იმ შემთხვევაში, თუ ტუბერკულოზით დაავადებული აივ ინფიცირებულია ან 5 წლამდე ასაკის ბავშვია);

4.4.3. და შერჩეული გამოვლენილი კონტაქტების რეფერალს დადასტურებისა და შემდგომი მკურნალობისთვის გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის პრინციპით, შესაბამისი საინფორმაციო და საგანმანათლებლო სამუშაოს ჩატარების გზით (მ.შ. პაციენტთან ახლო კონტაქტში მყოფი პირების რეფერალს ტუბერკულოზის სავალდებულო გამოკვლევის ჩასატარებლად),ლატენტურ/აქტიურ ტუბერკულოზზე სპეციალური დიაგნოსტიკური კვლევისთვის;

4.4.4 მეთვალყურეობიდან დაკარგულ პაციენტებთან და პენიტენციური დაწესებულებებიდან გათავისუფლებულ პირებთან (რომლებიც იმყოფებოდნენ ტუბსაწინააღმდეგო მკურნალობაზე) მუშაობას;

4.4.5. მეთვალყურეობიდან დაკარგული პაციენტების მოძიებას და სერვისის მიმწოდებელ დაწესებულებაში მათ რეფერალს მკურნალობის გასაგრძელებლად, შესაბამისი საინფორმაციო და საგანმანათლებლო სამუშაოს ჩატარების გზით;

4.4.6. პენიტენციური დაწესებულებებიდან გათავისუფლებული ტუბსაწინააღმდეგო მკურნალობაზე მყოფ პირთა მოძიებას და დადგენას – გააგრძელეს თუ არა შესაბამისი მკურნალობა სამოქალაქო სექტორში, აგრეთვ.ე საჭიროების შემთხვევაში მათ რეფერირებას მკურნალობის გასაგრძელებლად.

4.4.7 დადგენილ ვადაზე ადრე ტუბერკულოზის საწინააღმდეგო მკურნალობაშეწყვეტილი პაციენტების მოძიებას და მკურნალობის პროცესში მათი ხელახლა ჩართვის ღონისძიებების განხორციელებას.

4.4.8. მიმწოდებლის მიერ აღნიშნული სამუშაო ხორციელდება შემსყიდველის ინდივიდუალური ორგანიზაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებული (საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსსაქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ჯანდაცვის დეპარტამენტთან შეთანხმებული) წესის შესაბამისად, რომელიც განთავსებულია ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე - www.ncdc.ge.

4.5. ტუბერკულოზის კონტროლის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, სჯდ ცენტრებზე განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებას;

4.6. სამოქმედო ტერიტორიაზე „C ჰეპატიტის მართვის" სახელმწიფო პროგრამის სკრინინგული კვლევის კომპონენტის მიმწოდებელი სამედიცინო დაწესებულებებისთვის/ფიზიკური პირებისთვის ცენტრიდან მიღებული C ჰეპატიტის სკრინინგული ტესტებისა და სახარჯი მასალის გადაცემას მათთან წარდგენილი მოთხოვნების შესაბამისად. ამასთან, სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში გადაცემული ტესტ-სისტემები და სახარჯი მასალა გამოყენებული უნდა იქნეს მხოლოდ ამბულატორიული პაციენტების, დღის სტაციონარის პაციენტების (რომელთა სტაციონარში დაყოვნება არ აღემატება 24 საათს), სამედიცინო პერსონალის და ზოგადი პოპულაციის სკრინინგული კვლევებისთვის.

4.7 „C ჰეპატიტის მართვის" სახელმწიფო პროგრამის განხორციელების (სკრინინგი) მხარდაჭერას მოსახლეობის ინფორმირებულობის და მობილიზაციის გზით;

4.8. ჯანმრთელობის დაცვის პრევენციული/პროფილაქტიკური პროგრამების (მ.შ. იმუნიზაცია, კიბოს სკრინინგი, უსაფრთხო სისხლი და ა.შ.) თაობაზე მოსახლეობის ინფორმირებას;

4.9. სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში მიღებული საქონლის „მარაგების მართვის ელექტრონულ მოდულში" აღრიცხვას, მართვას და ანგარიშებას.

4.10. საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სისტემის განმტკიცება, არსებულ საფრთხეებზე რეაგირებისა და მზადყოფნის გაძლიერება რაც მოიცავს:

4.10.1 შემსყიდველის მიერ შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთან და გაფორმებულ ხელშეკრულების ფარგლებს, კერძოდ: ეპიდემიოლოგის შემთხვევაში:

- სავალდებულო აღრიცხვას დაქვემდებარებულ გადამდებ დაავდებებზე ეპიდზედამხედველობის განხორციელება, დაწესებულებებიდან მიღებული ინფორმაციის/მონაცემების დაზუსტება, კორექტირება და შესაბამის ბაზებში (EIDSS, LIMS, Lab.Cov და სხვა) მონაცემთა შეყვანა და ანალიზი;
- სამოქმედო ტერიტორიაზე ეპიდაფეთქებების კერებში ეპიდკვლევაში მონაწილეობა, კონტაქტების მოძიება და მიდევნება;
- მუნიციპალური/სახელმწიფო პროგრამების განხორციელებაში მონაწილეობის მიღება კომპეტენციის ფარგლებში;
- სამოქმედო ტერიტორიაზე გამოვლენილი გადამდები დაავადებების ეპიდსიტუაციის მონიტორინგი და ანგარიშგება არსებული მოქმედი წესების შესაბამისად;
- სამოქმედო ტერიტორიაზე მოქმედ და დაინტერესებულ სამთავრობო, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობაში მონაწილეობა კომპეტენციის ფარგლებში.
- სახელმწიფო პროგრამის და კომპეტენციის ფარგლებში სსიპ - ლ.საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგაოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის კონკრეტულ დავალებათა შესრულებას ეპიდემიოლოგიური ვითარების გათვალისწინებით რეგიონში.

4.10.2. მოლეკულური ბიოლოგიის სპეციალისტის შემთხვევაში:

- მოლეკულური ბიოლოგიის კვლევების განხორციელება, სამოქმედო გეგმების და სამუშაო გრაფიკების განსაზღვრა და მათი შესრულების უზრუნველყოფა;
- საჭიროებისას განსაკუთრებით საშიში და მასთან გათანაბრებული ინფექციების ეპიდაფეთქებებისა და ჯგუფური შემთხვევების მოლეკულური ბიოლოგიური კვლევების წარმოება;
- მოლეკულური ბიოლოგიური კვლევის შედეგების შესახებ ინფორმაცის ოპერატიულად წარდგენა სამსხურის ხელმძღვანელობასთან;
- სიტუაციის შესაბამისად სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ჩატარებული კვლევების ანგარიშისა და ანალიზის წარმოებაში მონაწილეობის მიღება;
- მოლეკულური ბიოლოგიის კველევების წარმოება დამკვეთის მოთხოვნილების შესაბამისად;
- დადგენილი წესით კვლევის შედეგის გაცემა;
- პაციენტის უფლებებისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის კანონებით განსაზღვრული მოთხოვნების დაცვა;
- ბიოუსაფრთხოებისა და ხარისხის კონტროლის პრინციპების დაცვა ლაბორატორიული კვლევების წარმოებისას.
- პირადი დაცვის აღჭურვილობის მიზანმიმართული გამოყენების უზრუნველყოფა;
- ბიოუსაფრთხოებისა და გარე ხარისხის კონტროლის ღონისძიებათა მონიტორინგში მონაწილეობის მიიღება;
- საჭიროების შემთხვევაში სეროლოგიური და ბაქტერიოლოგიური კვლევების წარმოება დადგენილი წესით;
- სადიაგნოსტიკო ტესტებისა და სხვა სახარჯი მასალის ხარჯვის პროცესზე მუდმივი ზედამხედველობა, ლოჯისტიკის სამსახურთან კოორდინირებული მუშაობის და კვლევებთან დაკავშირებული სათანადო დოკუმენტაციის წარმოების უზრუნველყოფა;
- ლაბორატორიაში მუშაობის უსაფრთხოების ყველა პროცედურის ზედმიწევნით ცოდნა და შესრულება;
- ლაბორატორიის ყოველდღიური მოვლა: (სამუშაო ზედაპირების გაწმენდა, ნარჩენების გატანა, მაცივრების ტემპერატურული რეჟიმების კონტროლი, ლაბორატორიული ჭურჭლის მოწესრიგებული შენახვა);
- სწრაფი რეაგირება სამუშაოების შესრულებისას განვითარებულ დაზიანებებზე, ავარიებზე და ინციდენტებზე;

სახელმწიფო პროგრამის და კომპეტენციის ფარგლებში სსიპ - ლ.საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგაოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის კონკრეტულ დავალებათა შესრულებას ეპიდემიოლოგიური ვითარების გათვალისწინებით რეგიონში.

5. შესყიდვის ობიექტის გაწევის ადგილი და პირობები

5.1 ხელშეკრულებით განსაზღვრული „მომსახურების" გაწევის ადგილია ადმინისტრაციულ–ტერიტორიულ ერთეულში შემავალი მუნიციპალური ერთეულების სამოქმედო ტერიტორია;

5.2 "შემსყიდველი" ითვალისწინებს, რომ "მიმწოდებლისათვის" სრულადაა ცნობილი დასახული ამოცანები და მათ შესასრულებლად გამოსაყენებელი ნორმატიული დოკუმენტაცია.

6. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები, ადგილი, ფორმა და ვადები

6.1 განხორციელებული „მომსახურების" მიწოდების ადგილი - თბილისი, კახეთის გზატკეცილი #99, სსიპ ლ. საყვარელიძის სახ. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი.

6.2 გაწეული მომსახურების ანგარიშგების ადგილი - თბილისი, კახეთის გზატკეცილი #99, სსიპ ლ. საყვარელიძის სახ. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი.

6.3. „მომსახურების" ანგარიშგება ხორციელდება დადგენილების მე-9 მუხლით და წინამდებარე ხელშეკრულების მე-7 მუხლით განსაზღვრული ვადებისა და პირობების შესაბამისად.

6.4. „მომსახურების" გაწევის ვადაა 2021 წლის 1 იანვრიდან 2021 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

7. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

7.1 ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო ანგარიშსწორება.

7.2 ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში.

7.3 ანაზღაურება განხორციელდება ხელშეკრულების ფარგლებში განსაზღვრული ერთი თვის ღირებულების მიხედვით.

7.4 "მიმწოდებელთან" საბოლოო ანგარიშსწორება მოხდება შესყიდვის ობიექტის მიწოდებისა, ყოველთვიური მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერის, საანგარიშგებო დოკუმენტაციის ინსპექტირების დასრულებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში.

7.5 "მიმწოდებელი" ყოველთვიურად წარმოადგენს ანგარიშს ნაბეჭდი და ელექტრონული (Sylfaen) სახით მის მიერ საანგარიშო პერიოდში გაწეული „მომსახურების" (შესრულებული სამუშაოს) შესახებ თანდართული ფორმებით, რომელიც შეთანხმებული იქნება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან და განთავსებულ იქნება www.ncdc.ge ვებ-გვერდზე;

7.6 სტატისტიკური ინფორმაციის წარმოდგენა ხორციელდება „სამედიცინო სტატისტიკური ინფორმაციის წარმოების და მიწოდების წესის შესახებ" საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2019 წლის 25 მარტის N01-26/ნ ბრძანებით განსაზღვრულ ვადებში შესაბამისი ფორმებით.

7.7 საღრიცხვო, საანგარიშგებო ფორმების/დოკუმენტაციის წარმოდგენა "პროფილაქტიკური აცრების ეროვნული კალენდრის, იმ ინფექციური დაავადებების სიის, რომელთათვისაც სავალდებულოა პროფილაქტიკური აცრები და პროფილაქტიკური აცრების ჩატარების ასაკობრივი მაჩვენებლების, ვადებისა და იმუნიზაციის მართვის წესების დამტკიცების შესახებ" საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2019 წლის 16 სექტემბრის N01-60/ნ ბრძანებით განსაზღვრულ ვადებში შესაბამისი ფორმებით.

7.8 „მიმწოდებელი" სრულად აგებს პასუხს მის მიერ მიწოდებული ანგარიშების უტყუარობაზე. „მიმწოდებელი" ადგილზე ინახავს ანგარიშებს და პირველად დოკუმენტაციას დადგენილი წესის შესაბამისად. საჭიროების შემთხვევაში გაცნობისათვის პირველივე მოთხოვნისთანავე წარუდგენს „შემსყიდველს".

8. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

8.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების სრული შესრულების შემდგომ ან/და გარკვეული ეტაპის დამთავრების შემდგომ მხარეებს შორის ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი.

8.2 შესყიდვის ობიექტის მიღებისა და საბოლოო შემოწმების ადგილია: თბილისი, კახეთის გზატკეცილი #99, სსიპ - ლ. საყვარელიძის სახ. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი.

8.3 არასწორად ან/და არასრულად წარმოდგენილი ანგარიშსწორების ფორმა უბრუნდება „მიმწოდებელს" და ეძლევა 2 სამუშაო დღე აღმოჩენილი ხარვეზების აღმოსაფხვრელად, ამასთან შედეგებზე იგი პერსონალურად აგებს პასუხს.

8.4 მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებაზე და ინსპექტირების განხორციელებაზე პასუხისმგებლობა ეკისრება „შემსყიდველის" უფლებამოსილ პირებს: საზოგადოებრივი ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამების მართვისა და ანგარიშგების სამმართველოს უფროსს ვერა უთიაშვილს, სამმართველოს უფროს სპეციალისტს მიხეილ გელოვანს და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირს მარიამ ბაკურაძეს, ხოლო მათი არ ყოფნის შემთხვევაში შესაბამისი მოვალეობის შემსრულებელ პირებს.

9. შესყიდვის ობიექტის ხარისხი

9.1 "მიმწოდებელი" იძლევა "მომსახურების" შესაბამისი ხარისხის სრულ გარანტიას.

9.2 უხარისხო "მომსახურების" მთლიანად ან ნაწილის გამოსწორება ხდება "მიმწოდებელის" მიერ რაიმე დამატებითი ხარჯების მოთხოვნის გარეშე.

10. მხარეთა უფლება-მოვალეობები

10. 1 „შემსყიდველი" ვალდებულია:

10.1.1 აუნაზღაუროს "მიმწოდებელს" გაწეული „მომსახურების" ღირებულება.

10.1.2 მიაწოდოს "მიმწოდებელს" ინფორმაცია იმ დაწესებულებების თაობაზე, რომლებიც დარეგისტრირებულნი არიან (ან ავტომატურად ითვლებიან დარეგისტრირებულად) იმუნიზაციის პროგრამის ფარგლებში ვაქცინების, ასაცრელი მასალების, სპეც შრატების, ანტირაბიული სამკურნალო საშუალებების მიმღებად და დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის პროგრამის ანტენატალური მეთვალყურეობის კომპონენტის მიმწოდებლებად საგენტოდან მიღებული მონაცემების საფუძველზე, რომლებზეც უნდა მოხდეს ტესტებისა და სახარჯი მასალების გადაცემა.

10.1.3 დაუყოვნებლივ აცნობოს "მიმწოდებელს" მომხდარ ცვლილებათა შესახებ, რომელიც შედის "შემსყიდველის" კომპეტენციაში და რომელიც შეიძლება ეხებოდეს ხელშეკრულების პირობებს.

10.2 "მიმწოდებელი" ვალდებულია:

10.2.1 მიაწოდოს "შემსყიდველს" "მომსახურება", რომელიც სრულად შეესაბამება ხარისხით და ყველა სხვა მონაცემებით "შემსყიდველის" დაკვეთას.

10.2.2 დაავადებათა ზედამხედველობის ელექტრონული ინტეგრირებული სისტემის ფუნქციონირებისათვის ინტერნეტ სერვისით უზრუნველყოფა.

10.2.3 აცნობოს "შემსყიდველს" ყველა იმ ცვლილებათა შესახებ, რაც პირდაპირ ან ირიბად ეხება ხელშეკრულებას.

10.2.4 დროულად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ყველა ვალდებულებანი.

10.3 "შემსყიდველი" უფლებამოსილია:

10.3.1 გადასცეს "მიმწოდებელს" შესამაბისი პროგრამის/კომპონენტის ფარგლებში აუცილებელი მედიკამენტები, ტესტ-სისტემები და სახარჯი მასალები.

10.3.2 მოითხოვოს "მიმწოდებლისაგან" ხელშეკრულების ყველა პუნქტის უცილობელი შესრულება;

10.3.3 უარი განაცხადოს ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე იმ შემთხვევაში, თუ "მიმწოდებელი" დაარღვევს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს ან მის წინაშე დადგება დაუძლეველი ძალა;

10.3.4 მოითხოვოს "მიმწოდებლისაგან" სათანადო განმარტებანი, დოკუმენტაცია, რომლის არსებობის გარეშეც შეუძლებელი იყო "მომსახურების" გაწევა;

10.3.5 მიმართოს სასამართლოს ან სხვა ორგანოებს იმ შემთხვევაში თუ "მიმწოდებელის" ქმედების გამო იგი დგება ფაქტთან, რომ შეიძლება დაირღვეს სახელმწიფო ინტერესები, მოითხოვოს ზარალის სრული ანაზღაურება;

10.3.6 არ სცნოს "მიმწოდებელის" არცერთი ვალდებულება, რომელიც არაა განსაზღვრული ამ ხელშეკრულებით.

10.3.7 არ აანაზღაუროს სამოქმედო ტერიტორიაზე მუნიციპალურ ერთეულებში არსებული საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სამსახურების მიერ გაწეული "მომსახურება", რომელთა ინსპექტირების დროს ისინი არაკორექტულად იქნა მიჩნეული;

10.3.8 არ აანაზღაუროს შესრულებული სამუშაო ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურების არასრულად შესრულების შემთხვევაში.

10.4 "მიმწოდებელი" უფლებამოსილია:

10.4.1 მოითხოვოს "შემსყიდველისაგან" მის მიერ მიწოდებული "მომსახურების" ღირებულების ანაზღაურება.

10.4.2 განაცხადოს უარი ხელშეკრულების შესრულებაზე ან გაგრძელებაზე იმ შემთხვევაში თუ "შემსყიდველის" მიერ სახელშეკრულებო პირობების შეუსრულებლობის გამო შეუძლებელი ხდება "მომსახურების" მიწოდება ან მის წინაშე დადგა დაუძლეველი ძალა.

10.4.3 აწარმოოს მოლაპარაკება "შემსყიდველთან" სახელშეკრულებო პირობებში კანონით დაშვებული ცვლილებების შეტანისათვის.

10.4.4 მიმართოს სასამართლოს ან სხვა ორგანოებს "შემსყიდველის" მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო.

10.4.5. „დადგენილების" მე-3 დანართის („ეპიდზედამხედველობის" სახელმწიფო პროგრამა) მე-3 მუხლის „ა" პუნქტის „ა.ა" ქვეპუნქტის საფუძველზე, სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლებისგან მოითხოვოს სამედიცინო დოკუმენტაცია გადამდებ დაავადებებზე შესაძლო, სავარაუდო და დადასტურებული შემთხვევების შესახებ.

11. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა (პირგასამტეხლო)

11.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების ვადების დარღვევის შემთხვევაში „მიმწოდებელს" ეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა დარჩენილი გასაწევი „მომსახურეობის" ღირებულების 0,05%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე დაანგარიშებით.

11.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა პირობების დარღვევის შემთხვევაში, „მიმწოდებელი" ერთჯერადად იხდის პირგასამტეხლოს ხელშეკრულების ღირებულების 2%-ის ოდენობით დარღვევის ყოველი ფაქტის დაანგარიშებით.

11.3. ხელშეკრულების მე-11 მუხლით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს გარდა, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის საჯარიმო სანქციები რეგულირდება „დადგენილებით".

11.4. იმ შემთხვევაში, თუ პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10%-ს შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოითხოვოს მიყენებული ზარალის ანაზღაურება.

11.5 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს „მიმწოდებელს" ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11.6. „შემსყიდველს" შეუძლია ასევე მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, „მიმწოდებლისათვის" ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:

11.6.1. თუ „მიმწოდებელს" ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან „შემსყიდველის" მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს „მომსახურება";

11.6.2. თუ „მიმწოდებელს" არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულება, რომელიც ცვლის პირობებს, რის გამოც ვერ განხორციელდება „მომსახურების" მიწოდება სრულად ან დადგენილ ვადებში;

11.6.3 თუ ხელშეკრულების შესრულების გაგრძელება მიზანშეუწონელია „შემსყიდველის" ფინანსური ინტერესებიდან გამომდინარე.

11.6.4. თუ „შემსყიდველისათვის" ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

11.6.5. „მიმწოდებლის" გაკოტრების შემთხვევაში.

11.7. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს „მიმწოდებელს" დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11.8. „მიმწოდებელი" იღებს ვალდებულებას უზრუნველყოს პირგასამტეხლოს თანხის გადახდა წერილობითი შეტყობინების მიღებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

12. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

12.1. „მიმწოდებლის" მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე და შესაბამისად „მომსახურების" მიზნობრივად გატარების შესახებ „შემსყიდველი" უფლებამოსილია:

12.1.1. უშუალოდ განახორციელოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი, რომელიც შეეხება ყოველთვიური „მომსახურების" პერიოდს (ან „მომსახურების" დასრულებულ ციკლს).

12.1.2. არ აანაზღაუროს ხელშეკრულების შესრულების კონტროლის შედეგად არაკორექტულად მიჩნეული გაწეული „მომსახურების" ხარჯები მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში.

12.1.3. განახორციელოს წარმოდგენილი დოკუმენტაციის შედარება „მიმწოდებლის" მიერ შეტყობინებისას დაფიქსირებულ მონაცემებთან და შემთხვევების შერჩევითი შემოწმების შედეგებთან (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

12.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული საანგარიშგებო დოკუმენტების ინსპექტირების ვადაა საანგარიშგებო დოკუმენტაციის წარდგენიდან არაუმეტეს 45 სამუშაო დღე.

13. ხელშეკრულების სხვა პირობები

13.1. მხარეები თანახმანი არიან ამ ხელშეკრულების დადების და შესრულების პერიოდში ერთმანეთისთვის გადაცემული და გადასაცემი მთელი ინფორმაცია მიიჩნიონ კონფიდენციალურ ინფორმაციად (ხოლო, კანონმდებლობით დაშვებულ ფარგლებში - კომერციულ საიდუმლოებად) და იღებენ ვალდებულებას არანაირი სახით არ გაახმაურონ კონფიდენციალური ინფორმაცია და არ გახადონ ის ხელმისაწვდომი მესამე პირისათვის, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

13.2 მხარეები იღებენ ვალდებულებას მთლიანად აანაზღაურონ მეორე მხარისათვის კონფიდენციალური ინფორმაციის გახმაურებით გამოწვეული ზიანი.

13.3 ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა ხდება მხოლოდ მხარეების მიერ წერილობითი შეთანხმებით და ფორმდება ხელშეკრულების დანამატის სახით, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების გაწუყოფელ ნაწილს.

13.4 „მიმწოდებელს" არ აქვს უფლება „შემსყიდველის" წერილობითი თანხმობის გარეშე მოახდინოს მესამე პირისათვის უფლებების გადაცემა.

13.5. ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები, გარდა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის, საქართველოს სამოქალაქო კოდექსით და კანონქვემდებარე აქტებით განსაზღვრული შემთხვევებისა.

13.6. ხელშეკრულების შესრულების შეფერხების შემთხვევაში მხარეები დაუყოვნებლივ წერილობით ატყობინებენ ერთმანეთს და ღებულობენ ერთობლივ გადაწყვეტილებას.

14. სადაო საკითხების გადაწყვეტა

14.1. „შემსყიდველმა" და „მიმწოდებელმა" უნდა იხმაროს ყველა ღონე, რათა მათ შორის, ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ, მოაგვარონ მოლაპარაკების წესით.

14.2. თუ „შემსყიდველი" და „მიმწოდებელი" ვერ შეძლებენ სადაო საკითხის მოგვარებას მოლაპარაკების გამართვის შემდეგ, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს სასამართლოს, რის შესახებაც იგი წინასწარ აცნობებს მეორე მხარეს.

15. გამოსაყენებელი სამართალი

15.1. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

16. ხელშეკრულების ენა

16.1. ხელშეკრულების ენაა ქართული. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის უნდა შეესაბამებოდეს სახელშეკრულებო პირობებს.

17. ურთიერთობა მხარეებს შორის

17.1. ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, ელექტრონული ფოსტის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

17.2. შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

18. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

18.1 ხელშეკრულება შედის ძალაში მხარეთა მიერ ხელშეკრულებაზე ხელის მოწერის თარიღიდან.

18.2. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება 2021 წლის 1 იანვრიდან 2022 წლის 31 მარტის ჩათვლით.

18.3. ურთიერთობა მხარეებს შორის წყდება ხელშეკრულების ვადის გასვლით და მხარეების მიერ ყველა ვალდებულებათა შესრულებისა და დებიტორულ-კრედიტორულ დავალიანებათა დაფარვის შემდგომ.

19. დამატებითი პირობები

19.1 წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

19.2 ხელშეკრულების მონაწილე მხარეებზე ვრცელდება აგრეთვე დადგენილებით გათვალისწინებული პირობები.

20. მხარეთა რეკვიზიტები

„შემსყიდველი“

სსიპ „ლ. საყვარელიძის სახ. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი“
მისამართი: თბილისი, კახეთის გზატკეცილი №99
საიდენტიფიკაციო კოდი 211324351
საბანკო რეკვიზიტები:
ქ. თბილისი, სახელმწიფო ხაზინა
კოდი TRESGE22
ანგარიშის # GE24 NB03 3010 0200 1650 22
გენერალური დირექტორის მოადგილე:

L Sakvarelidze National Center For Disease Control and Public Health
Digitally signed by L Sakvarelidze National Center For Disease Control and Public Health
Date: 2021.01.27 18:14:19 +04'00'

„მიმწოდებელი“

ა(ა)იპ „დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ცენტრი“
მისამართი: დედოფლისწყარო, ნიკორციხის ქ. 49
საიდენტიფიკაციო კოდი 228525021
საბანკო რეკვიზიტები:
თბილისი, სახელმწიფო ხაზინა
კოდი TRESGE22
ანგარიშის #745857499
დირექტორი:

Public health care centre of Dedoplistskaro municipality
Digitally signed by Public health care centre of Dedoplistskaro municipality
Date: 2021.01.27 13:20:55 +04'00'

ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის ხელწერილი

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის (მუხლი 8) და „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანების (მუხლი 8) შესაბამისად ქვემოთ ხელისმომწერი პირები ვადასტურებთ, რომ „მიმწოდებელთან“ ურთიერთობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

ვიზა: ო. ნამიჭეიშვილი

ვ. გეთია

ვ. უთიაშვილი

გ. ქობალია

ლ. ებანოიძე

ნ. მარჯანიძე-თორაძე

შ. ჭილაშვილი

მ. მახარაძე

მ. ბაკურაძე

მ. გელოვანი

ა. მეტრეველი

შემსრულებელი: ნ. აბაზაშვილი